

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

2019 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტები:

1. პიროვნების ფსიქოლოგიის, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი
2. შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
3. ნეირო და კოგნიტური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
4. განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
5. სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
6. პედაგოგიკის ინსტიტუტი

პიროვნების ფსიქოლოგიის, შეფასებისა და კონსულტაციის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

- ლუიზა არუთინოვა (ხელმძღვანელი)
- მარინე ჩიტაშვილი
- ხათუნა მარწყვიშვილი
- მაია მესტვირიშვილი
- ლილი ხაჩუაშვილი
- თაონა ლოდია
- მარიამ ფანჯიკიძე
- ქეთევან მოსაშვილი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გრანტი. გრანტის №DP2016_16; პროექტის სახელწოდება: „კვლევები პოზიტიური ფსიქოლოგიაში“ სოციალური მეცნიერებები ფსიქოლოგია	2016-2020	პროექტის ხელმძღვანელი მესტერიშვილი მაია. ახალგაზრდა მეცნიერები: მარწყვიშვილი ხათუნა ფანჯიკიძე მარიამ

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი მიზნად ისახავს ახალი სადოქტორო პროგრამის „კვლევები პოზიტიურ ფსიქოლოგიაში“ განვითარებასა და განხორციელებას. პროგრამა კვლევის ორი ქვედარგისგან შედგება და სტრუქტურულად ორი ერთეულის/მოდულის სახით არის წარმოდგენილი: (ა) პოზიტიურ ფსიქოლოგია პიროვნების კვლევებში და (ბ) პოზიტიური ფსიქოლოგია კონსულტირებაში. პროგრამა მეთოდოლოგიური პლურალიზმის პრინციპზეა აგებული და მონაცემების შეგროვებისთვის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისთვის თვისებრივ, რაოდენობრივ და შერეულ მეთოდებს იყენებს. პროექტის პირველი წელი სადოქტორო პროგრამის განვითარებასა და აკრედიტაციის მიღებას ეთმობა, დანარჩენი სამი წლის განმავლობაში კი დაგეგმილია დოქტორანტების პირველი თაობის გამოშვება. უცხოელი ექსპერტები ჩართულნი არიან პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე, იქნება ეს საგანმანათლებლო

პროგრამის შემუშავება, საკონსულტაციო ვიზიტები საქართველოში ან ექსპერტების უნივერსიტეტებში, მათ მიერ ჩატარებული ლექციები, სემინარები და ინტენსიური სასწავლო კურსები პროგრამაში ჩართული (და სხვა) აკადემიური პერსონალისთვის და დოქტორანტებისთვის.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
2	ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსი, 2018, YS-18-2025 კატეგორიული და შედეგობრივი მორალური მსჯელობა: ემოციების როლი სოციალური მეცნიერებები ფსიქოლოგია	2018-2020	პროექტის მენტორი მაია მესტვირიშვილი ახალგაზრდა მეცნიერი: ნათია მესტვირიშვილი

მორალის მეცნიერებისადმი მზარდი ინტერესი მიუთითებს იმაზე, რომ მორალური სისტემის როგორც ღირებულებების, ღირსებების, ნორმების და იდენტობის გაგება ძალიან დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენს მიზანს წარმოადგენს მორალური დისპოზიციები-მორალური მსჯელობა-მორალური ქცევის ხაზის სრულყოფილი ანალიზი და ემოციური ინტელექტის როლის აღმოჩენა ამ ჯაჭვში. კვლევის დიზაინი მოიცავს სამ დამოუკიდებელ ცვლადს: (1) მორალური კომპეტენცია (2) ემოციური ინტელექტი (3) მორალური განსჯა და ერთ დამოკიდებულ ცვლადს: მორალური ქცევა. კვლევის მონაწილეებად 350 სტუდენტი მოიაზრება, რომელთა ასაკიც 18-25 მდეა და რომლების კვლევაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ. კვლევას გააჩნია როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ღირებულება რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში, კვლევის შედეგები მორალურ

ფუნქციონირებაზე ცოდნას გაამდიდრებს და წვლილს შეიტანს მორალურ ფსიქოლოგიაში არსებული კონფლიქტური მონაცემების ანალიზში. შედეგები ასევე მნიშვნელოვანი იქნება ფსიქოლოგიის ორი ფართო მიმართულებისთვის: მორალის კვლევების და ემოციური ინტელექტისთვის. კვლევას წვლილი შეაქვს როგორც სოციალური, ისე პოზიტიური ფსიქოლოგიის განვითარებაში, მორალური განსჯის მექანიზმების, მორალური ქცევის დინამიკისა და ამ პროცესში ემოციების როლის გაგებით.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის კვლევითი გრანტი. სახელწოდება: Creativity and intelligence: a different road to growth and wellness	2020	წამყვანი მკვლევარი: ხათუნა მარწყვიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ კრეატიულობის შესახებ ჩატარებული ადრეული კვლევები უკვე მჭიდროდ უკავშირდება ინტელექტის შესწავლას, საკითხი კრეატიულობისა და ინტელექტის გადამფარავი და განმასხვავებელი მახასიათებლების შესახებ კვლავაც სამეცნიერო დებატების საგნად რჩება. ჰიპოთეტური მოდელი, რომლის შემოწმებასაც ვისახავთ მიზნად ეფუძნება დაშვებას, რომ კრეატიულობა და ინტელექტი როგორც ზოგადად, ევოლუციურად, ასევე, მოტივაციურად, ინდივიდისთვის, სხვადასხვა მიზნების შესრულებას ემსახურება და რეალური სამყაროს სხვადასხვა შედეგთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ვარაუდობთ, რომ თუ ინტელექტი ადამიანური მოთხოვნილებების იერარქიის ქვედა დონის

მოთხოვნილებების, ხოლო კრეატიულობა უმაღლესი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უწყობს ხელს და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება/ფრუსტრაცია თავისთავად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდის პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში, მაშინ კიდევ ერთი კონცეპტუალური განსხვავება კრეატიულობასა და ინტელექტს შორის, შესაძლოა, უკავშირდებოდეს იმ გზას, რომლითაც ამ ორ მახასიათებელს ერთი მხრივ პოსტრავმულ, ხოლო ხოლო მეორე მხრივ, პიროვნულ ზრდასა და ინდივიდის კარგად ყოფნამდე მივყავართ.

4. ბექდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ლ. ხეჩუაშვილი	ცხოვრების ნარატივებში განფენილი კულტურა: მე, შენ და სხვები	რეცენზირების პროცესში	
<p>როგორც ტილმან ჰაბერმასი (2019) წერს, ნარატივი კომპლექსური ლინგვისტური პროდუქტი და კომუნიკაციის პროცესია და არ არის ადვილი ამოცანა მისი კვანტიფიკაცია. ამიტომ ფსიქოლოგია ნელ-ნელა აღიარებს მის ინტეგრაციულ პოტენციალს. ამის ერთ-ერთ დასტურს განსხვავებული, კერძოდ, ჰერმენევტიკული და იდიოგრაფიული ფსიქოლოგიის არსებობა წარმოადგენს, რომელსაც ნარატიულ ფსიქოლოგიას ვუწოდებთ. ნარატივი ფსიქოლოგიის ისეთი ტრადიციული მიმართულებების ინტერესის საგნად იქცა, როგორებიცაა კოგნიტური, მეხსიერების, განვითარების, პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია (Habermas, 2019).</p> <p>რატომ? ძალიან მარტივი მიზეზის გამო: ადამიანები ამბებს ვყვებით და თან ის ამბები ვართ, რომლებსაც ვყვებით. უილიამ ჯემსი (1890) ნარატივისტი ფსიქოლოგი რომ ყოფილიყო, როდესაც თავის ყველაზე ცნობილ ნაშრომში „მე“ (I) და „მე“ (me) განასხვავა ერთმანეთისგან, პირველი „მე“ მისთვის მთხრობელი იქნებოდა, მეორე „მე“ კი მოთხრობილი ამბავი. ჯემსისათვის „მე“ (I) ცნობიერების ნაკადს წარმოადგენდა, მაგრამ რა არის ცნობიერება თუ არა გამოცდილების შინაგანი თხრობა?</p> <p>სწორედ ეს შინაგანი თხრობის პროცესი და ამ პროცესის წარმმართველი ძალა აინტერესებს ნარატიულ ფსიქოლოგიას. ნარატივისტი ფსიქოლოგები იკვლევენ, თუ როგორ ახერხებენ ადამიანები საკუთარი ცხოვრების თხრობაში დალაგებას, ლოგიკური კავშირების დანახვასა და წარსულის, აწმყოსა და მომავლის იმგვარად ინტეგრირებას თხრობის პროცესში, რომ, ერთი მხრივ, პერსონალური უწყვეტობის განცდა შეინარჩუნონ და, მეორე მხრივ, მუდმივად განვითარდნენ და მოერგონ ცვალებად რეალობას, სოციალურ-კულტურულ კონტექსტს, რომელშიც ცხოვრობენ და თან ცხოვრების მიზანი და საზრისიც არ დაკარგონ.</p> <p>შესაბამისად, ხედვა, რომელსაც ვეყრდნობი წარმოდგენილ ნაშრომში, ასე შეიძლება შევაჯამოთ:</p>				

- მე, როგორც პიროვნება, თხრობაში ვიქმნები ანუ საკუთარი ამბის თხრობისას ვქმნი საკუთარ თავს;
- როცა ჩემ ამბავს ვყვები, მარტო ჩემ ამბავს არ ვყვები;
- ჩემი ერთი ჩემი ხალხი ლაპარაკობს;
- ეს ჩემი ხალხი შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს ჩემი და მივხვდე, რომ ახალი ჩემი უნდა შევექმნა/ვიპოვო.

ასე რომ, ნაშრომი ცხრა თავისგან შედგება, რომლებიც სამ ნაწილად ერთიანდება. პირველი ნაწილი ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს ეთმობა. მასში განხილულია ის ძირითადი ცნებები, კონსტრუქტები და მიდგომები, რომლითაც ვოპერირებ. პირველ თავში ორ ძირითად ცნებას მიმოვიხილავ. ესაა პიროვნება, როგორც მას მაკადამსი ხედავს სამმაგი ა-ს მოდელის სახით და იდენტობა, როგორც ინდივიდის მიერ კულტურასთან ინტერაქციის პროცესში კონსტრუირებული ერთიანობა. მეორე თავში მოკლედ არის მიმოხილული ნარატივი, როგორც იდენტობის, პიროვნებისა და განვითარების პროცესი და პროდუქტი. მესამე თავი ნარატიული კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას ეთმობა და ისეთი საკითხებია განხილული, როგორებიცაა ნარატივის, როგორც მეთოდოლოგიური მიდგომის, გამოყენების საკითხები კვლევაში. კერძოდ, გამოყოფილი და აღწერილია ოთხი ძირითადი ასპექტი: ნარატიული კითხვების დასმა, ნარატივის მისაღებად მოწოდებული ინსტრუქციების შექმნა, ნარატივების შეგროვება და ნარატივების კოდირება. აქვე უნდა ვთქვა, რომ ნაშრომის ეს თავი ერთგვარ პრაქტიკულ გზამკვლევსაც წარმოადგენს დამწყები მკვლევრებისთვის, რომლებიც ნარატიულ ფსიქოლოგიაში იწყებენ მუშაობას.

მეორე ნაწილში გაერთიანებულ სამ თავში ცხოვრების ისტორიების თხრობის უწყვეტ პროცესზე ვისაუბრებთ. მიმოვიხილავთ, როგორ, როდის და რატომ ვიწყებთ საკუთარი თავის შესახებ ამბის თხრობას და როგორ ვახერხებთ, რომ მუდმივად ცვალებად გარემოში გავიზარდოთ, განვითარდეთ და შევიცვალოთ და, ამავდროულად, უწყვეტობისა და უცვლელობის განცდაც შევინარჩუნოთ.

მესამე ნაწილი პიროვნებისა და კულტურის კომპლექსური ურთიერთქმედების დინამიკას შეეხება. გავცნობით მასტერ და ალტერნატიული ნარატივის კონსტრუქტებს. გარდა ამისა, მოწიფული, საზოგადოებაში ინტეგრირებული და რეალიზებული მოზრდილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელზე, გენერაციულობაზე ვისაუბრებთ.

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Mestvirishvili, M. (2019).	მოქალაქეობის სტილის განმსაზღვრელი მოდალობები საქართველოში Attitudinal modalities of citizenship representation styles in Georgia. https://doi.org/10.1177/1879366519840165	Journal of Eurasian Studies, 10(2),	SAGE Publishing, USA	109–118.
ვრცელი ანოტაცია					

This study investigates citizenship representation styles and their compositional modalities in contemporary Georgia. The article starts with a discussion of legal, social, and political influences that shaped conceptions of citizenship in post-Soviet countries, including Georgia. The study presents the results of a survey of 700 students from 10 universities in Georgia. They completed questionnaires exploring citizenship styles and associated predictor variables. The study suggests that a cultural citizenship style is dominant among Georgian students. It is best predicted by the level of national identification, followed by patriotism, nationalism, in-group attitudes, and religious orthodoxy. The data also show the opposing roles of nationalism and patriotism on ethnic and civic citizenship styles. The article argues that a cultural citizenship representation style could be the compromise solution in the ethnic versus civic citizenship dichotomy and might be more appropriate for societies characterized by ethno-nationalist tendencies.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
2	Mariam Kvitsiani, Maia Mestvirishvili, Khatuna Martskvishvili, Tamar Kamushadze, Mariam Odilavadze, Mariam Panjikidze.	Personal values and self- acceptance: anxiety free vs anxiety- based dimension	Problems of psychology in the 21st century vol. 13, no. 2, 2019	Lithuania	84-100

When talking about human well-being, Unconditional Self-acceptance represents one of the cores. Although researchers have focused on various predictors of Acceptance, there is not a clear understanding of personal values impacting the process of accepting oneself. The aim of the research was to explore the association between basic values and unconditional self-acceptance, and to find out the role of psychological flexibility in this relationship. 370 participants filled the questionnaires to explore basic values, unconditional self-acceptance and psychological flexibility. As data showed, self-transcendence and openness to change predict higher level of psychological flexibility, however, only openness to change possesses positive predictive power for unconditional self-acceptance. Mediation model indicates that basic value system of openness to changes is the one, which reflected on individual's higher psychological flexibility, and through this flexibility she/he achieves higher level of unconditional self-acceptance. The research confirmed a unique role of openness to change in association with self-acceptance which might be an important insight for clinical psychologists as well as for mental health professionals.

3.	M. Panjikidze, A. Beelmann, K. Martskvishvili. M.Chitashvili	Posttraumatic Growth, Personality Factors, and Social Support Among War-Experienced Young Georgians. 2019. https://doi.org/10.1177%2F0033294118823177 .	<i>Psychological reports.</i> January 2019.	Sage	16
----	--	--	---	------	----

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მიუხედავად მრავალი კვლევისა მოზრდილთა პოსტტრავმული ზრდის შესახებ ბოლო ათწლეულებში, მცირე რაოდენობა ეხება პოსტტრავმულ ზრდას ახალგაზრდებში და განსაკუთრებით ომის გამოცდილების მქონე პირებთან ეს კვლევა ეხება პიროვნული ფაქტორების და განსხვავებული ტიპისა და წყაროს სოციალურ დახმარებას შორის კორელაციის კვლევას [პოსტტრავმული ზრდა] ომის გამოცდილების მქონე ბავშვებსა და მოზარდებში. კვლევის მონაწილეები 242 იძულებით ადგინაცვალის პირი, სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილიდან მთელის საქართველოს მასშტაბით, საშუალო ასაკი 13,22 წელი [SD=2,73]. კორელაცია ცვლადებს შორის დავთლილი იყო მრავალფაქტორიანი რეგრესიის და მედიაციური ანალიზით. შედეგება აჩვენებს, რომ პოსტტრავმული ზრდის ძირითადი პრედიქტორებია ექტსრავერსია, გაცნობიერებადობა და სოციალურ დახმარება. დამატებით, ინფორმაციული ტიპის დახმარება თანატოლებისაგან მნიშვნელოვან კავშირშია პოსტტრავმულ ზრდასთან. უფრო მეტიც, ზოგადი სოციალური მხარდაჭერა მედიაციას ახდენს, მაკავშირებელია პიროვნულ ფაქტორებსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის. დასკვნები ასახავს ახალგაზრდებში იმ მექანიზმებს, რომელიც საფუძვლად უდევს პოსტტრავმულ ზრდას.

4	M.Chitashvili, D. Machavariani, O. Sokhadze	In search of evil: Affective dimensions of presidential elections 2018 in Georgia. [2019]	<i>Psychological applications and trends.</i> Ed. Clara Pracana and Michael Wang. pp.247-251.	Lisbon, Portugal. InScience Press.	5
---	---	---	---	------------------------------------	---

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია თუ როგორ არის შესაძლებელი ფსიქოანალიტიკური ანთროპოლოგიის პერსპექტივიდან, კერძოდ კი ლაკანის თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, აფექტური განზომილებების კონცეპტუალიზაცია და ანალიზი არჩევნებისას, კონკრეტულად მტრის სახის, როგორც ბოროტის წარმოდგენა. ფსიქოანალიტიკური თეორიული ლექსიკონი იქცა ძირითად წყაროდ პოლიტიკის აფექტური განზომილებების საკვლევად, ტექსტების, ხატებისა და დისკურსების გამოყენებით თუ როგორ არის აღნიშნული სხვადასხვა ემოციების პოლიტიკურ რიტორიკაში. არჩევნები, როგორც საჯარო აქტივობის კონვენციონალური ფორმა მოიცავს პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც გვაწვდიან თავიანთ პოლიტიკურ ღირებულებებს და ერთმანეთთან შედიან კონკურენციაში, რომ ხალხის ფართო მასებმა, ჯგუფებმა მათ მხარი დაუჭირონ და გაყვნენ მათ დისკურსს და საბოლოო ჯამში მოიპოვონ ხმათა უმრავლესობა არჩევნებში და გაიმარჯვონ. ისინი ფაქტობრივად დაკავებულნი არიან მოგვაწოდონ გარკვეული ჩარჩო და მისი პარამეტრები, რომელშიც იქმნება და სურვილი, რეგულირდება და მიემართება სამიზნისაკენ [კოვლრაა 2018] საყოველთაოდ ცნობილი პრაქტიკა ელექტორალური დისკურსების გულისხმობს მტრის, ბოროტის, ხატის შექმნას, რომელიც დამნაშავეა უტოპიის მუდმივ გადადებაზე [ჟიჟევი, 1990], რას სხვა სიტყვებით ნიშნავს, ემოციური მუხტის, სურვილის, სრულად დაკმაყოფილებას გარკვეული პოლიტიკური იდეებით. ლაკანის მიხედვით ადამიანი არასროს არ არის ბოლომდე ინტეგრირებული ენის სიმბოლურ სივრცეში და მას ყოველთვის თან სდევს განცდა, რომ რაღაც

დაკარგულია და აქვს სურვილი, რომ ეს დაკარგული მოიპოვოს და დაიბრუნოს სიამოვნება. გლინოსის [2010], სტარვაკასისის [2007] და ჟიჟეკის [2005] მიხედვით ეს ჩარჩო გაგებული იყო იდეოლოგიების აფექტური დისკურსების გასაგებად. „ეს ნიშნავს, რომ იდეოლოგიურმა დისკურსმა უნდა შექმას ფატაზმატური ნარატივი ან სცენარი, რომელიც გვპირდება უტოპიურ მომავალს სრული კმაყოფილების“ [კოვლრაა, 2018]. ისეთ ტიპის ნარატივებში, როგორცაა ფაზიზმი, რადიკალური ნაციონალიზმი, სტალიზმი და დაკარგული სიამოვნება იცვლება მტრის მიერ „მოპარულით“, რაც ხელს უწყობს შეუძლებლის მიღწევას, შენარჩუნების მოლოდინს - ‘სრულად დაბრუნება სიამოვნების უტოპიურ საზოგადოებაში“ [კოვლრაა, 2018] თუმცა სიამოვნების საკითხი კვლავ ღიად რჩება პოლიტიკური დისკურსის ტერმინებში, სხვა სიტყვებით, როგორ მიიღწევა ის დანაკარგის დაბრუნებისა და მტრის დამარცხების დისკურსებით. ჩვენ ვაანალიზებთ საქართველოში კონკრეტული არჩევნებს, კერძოდ 2018 წლის პრეზიდენტის არჩევნებს, ყოფილი საბჭოთა და ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, როგორც მრავალგანზომილებიან სოციალურ ფენომენს, რომელიც მოდის სტალინური და ნაციონალისტური ავტორიტარული წარსულიდან და იბრძვის დანერგოს ახალი დემოკრატიული ინსტიტუტები. კანონები და რეგულაციები, ჩაატაროს არჩევნები, როგორც ძირითადი საშუალება დემოკრატიული მმართველობის მისაღებად. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები განხილულია კონკრეტული შემთხვევის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში, როგორც ამბივალენტური მოდელი სადაც უტოპიური საზოგადოების სიამოვნება მტრის ხატის დისკურსებით ინაცვლებს „დაკარგულიდან“ „მოპარულში“.

5	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	T. Bandzeladze L. Arutiunov Pablo Espinosa	El papel de los factores familiares y la autorregulación: problemas de comportamiento en adolescentes de Georgia. http://revistas.udc.es/index.php/reipe/article/view/reipe.2019.6.2.5775	The Journal of Studies and Research in Psychology and Education, 6(2), 146-155. 2019	Coruña España	10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მოზარდთა პრობლემური ქცევა: ოჯახთან დაკავშირებული ფაქტორებისა და თვითრეგულაციის როლი

კვლევის მთავარი მიზანია მოზარდთა პრობლემური ქცევის ფსიქოსოციალური ფაქტორების შესწავლა. კვლევის ფარგლებში შეფასდა ოჯახის სტრუქტურის, მშობელთა ქცევის მოდელებისა და მოზარდის ქცევის მონიტორინგის, ასევე, თვითრეგულაციის, როგორც გარემოსა და ქცევას შორის მედიაციური ცვლადის, კავშირი მოზარდის პრობლემურ ქცევასთან. კვლევა კორელაციური დიზაინისაა. მონაცემები შეგროვდა თვითანგარიშის კითხვარის გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14-18 წლამდე ასაკის 150 მოზარდმა, მათ

შორის, 60 - კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი პრობაციის სააგენტოდან და დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან, ხოლო 90 მოზარდი თბილისის საჯარო სკოლებიდან, რომელთაც არ აქვთ კანონთან კონფლიქტის გამოცდილება. კვლევის შედეგების მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების უფრო მეტი რაოდენობა ცხოვრობს არასრულ ოჯახებში, ვიდრე მსგავსი გამოცდილების არმქონე მათი თანატოლები. თავის მხრივ, არასრულ ოჯახებში მცხოვრებ მოზარდებთან უფრო მაღალია პრობლემური ქცევის საშუალო მაჩვენებელი, ხოლო დაბალია მშობლის მიერ მოზარდის ქცევის მონიტორინგი. კორელაციური და რეგრესიული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მშობლის მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება დადებითად უკავშირდება მოზარდის პრობლემურ ქცევას, ხოლო კონვენციონალური ქცევის მოდელირება და მოზარდის ქცევის მონიტორინგი - უარყოფითად. პრობლემური ქცევის კორელატებს შორის, სტატისტიკურად სანდო პრედიქტორულ ღირებულებას ინარჩუნებს მშობლის მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება და მოზარდის ქცევის მონიტორინგი. რაც შეეხება თვითრეგულაციას, მისი ხარისხის ზრდასთან ერთად, მცირდება პრობლემური ქცევის მაჩვენებელი, თუმცა თვითრეგულაციის პრედიქტორული ღირებულება ვერ აღწევს სტატისტიკური მნიშვნელოვნობის დონეს. მოცემულ კვლევაში, თვითრეგულაცია, როგორც ინდივიდუალური დონის ცვლადი, არ წარმოადგენს სტატისტიკურად სანდო მედიაციურ ცვლადს, აღქმულ გარემოსა და პრობლემურ ქცევას შორის. კვლევის შედეგები ადასტურებს დევიაციური ქცევის პრევენციის პროცესში მულტისისტემური მიდგომის მნიშვნელობას, რომელიც, უპირველესად, ოჯახის გაძლიერებაზე მიმართულ ღონისძიებებს გულისხმობს.

6	ავტორი/ ავტორები	სტატის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	T. Bandzeladze A. Asatiani L. Arutiunov	Peer Pressure and Adolescents' Problem Behavior	Social Sciences and Economics Research Society (SSERS) იბეჭდება	Amsterdam Holland	17

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მიზანია თანატოლთა ზეგავლენასა და მოზარდთა პრობლემურ ქცევას შორის კავშირის შესწავლა. საკვლევი ჰიპოთეზის მიხედვით, თანატოლთა ზეგავლენა მოზარდის პრობლემურ ქცევაზე გაშუალებულია მორალური გამოთიშულობით, რომელიც

დევიაციური ქცევის მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებებზე მიუთითებს. კვლევა კორელაციური დიზაინისაა და მონაცემები შეგროვებულია თვითანგარიშის კითხვარების გამოყენებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14-დან 18 წლამდე ასაკის 150 მოზარდმა, მათ შორის არის 60 კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი, პროზაციის სააგენტოდან და დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან, ხოლო 90 მსგავსი გამოცდილების არმქონე მოზარდი, თბილისის საჯარო სკოლებიდან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პრობლემური ქცევის ყველაზე ძლიერი პრედიქტორია თანატოლთა მიერ პრობლემური ქცევის მოდელირება, რომლის კავშირიც მოზარდის პრობლემურ ქცევასთან არ არის გაშუალებულია მორალური გამოთიშულობით. თანატოლთა მხრიდან პრობლემური ქცევის სანქციონირების მოლოდინი უარყოფითად კორელირებს მოზარდის პრობლემურ ქცევასთან, თუმცა კავშირი სუსტდება, როდესაც ძლიერია მოზარდის ტოლერანტული დამოკიდებულებები დევიაციური ქცევის მიმართ. კვლევის შედეგები მიუთითებს მოზარდთა პრობლემური ქცევის პრევენციაში მულტისისტემური მიდგომის მნიშვნელობაზე, რომელიც, მოზარდის ინდივიდუალურ მახასიათებლებთან ერთად, მისთვის მნიშვნელოვანი სოციალური გარემოს კომპონენტებზე ფოკუსირებას გულისხმობს.

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ე. ნადირაძე თ.ლოდია	ა ნადირაძე, თ.ლოდია. ფსიქოლოგიური მოუქნელობის კავშირი დეპრესიისა და აგრესიის მახასიათებლებთან ISSN 2667-9027	ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი 2019/N1	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019	გვ.59-71

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფსიქოლოგიური მოუქნელობა, რომელიც მიღებისა და მოქმედების თერაპიის ძირეული კომპონენტია, ფსიქოპათოლოგიების განვითარების მთავარ ასპექტად მიიჩნევა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ფსიქოლოგიურ მოუქნელობასა და ადაპტაციაში ხელისშემშლელ ისეთ მდგომარეობებს შორის კავშირის დადგენას, როგორებიცაა დეპრესია და აგრესია. კვლევა ჩატარდა ქართულ პოპულაციაზე. მასში მონაწილეობას იღებდა, 14-დან 16-წლამდე, 157 მოზარდი თბილისის საჯარო სკოლებიდან. მათ შორის 81 იყო ვაჟი, ხოლო 76 გოგონა. კორელაციური ანალიზის შედეგად გამოვლინდა ძლიერი დადებითი კავშირი დეპრესიასა და ფსიქოლოგიური მოუქნელობას შორის($r=.68$) ყველა ასაკობრივ და სქესობრივ ჯგუფში. ძლიერი დადებითი კავშირი გამოვლინდა აგრესიასა და ფსიქოლოგიურ მოუქნელობას შორის ($r=.59$). ამასთანავე, ფსიქოლოგიურ მოუქნელობას აქვს მედიატორის როლი დეპრესიასა და აგრესიას შორის არსებულ კავშირში. ფსიქოლოგიურ მოუქნელობას, დეპრესიასა და აგრესიას შორის არსებული მიმართებების დადგენა

სამუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ადაპტაციისთვის ხელისშემშლელი მდგომარეობების ძირეული ასპექტები და თერაპიული მეთოდების დანერგვით მოზარდებს დავებმართოთ ემოციური დისრეგულაციების დაძლევაში.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური მოუქნელობა, დეპრესია, აგრესია, მიღებისა და მოქმედების თერაპია, ფსიქოლოგიური მოქნილობა.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
7	Sordia, N., Martskvishvili, K., & Neubauer, A. (2019).	From creative potential to creative achievements: Do emotional traits foster creativity? http://dx.doi.org/10.1024/1421-0185/a000227	Swiss Journal of Psychology 78(3-4), 115-123	Hogrefe Publishing Group	8

შემოქმედებითი პოტენციალი, რომელიც შემოქმედებით მიღწევებად რეალიზდება ცვლის სამყაროს და განსაზღვრავს პროგრესს. იმ ფაქტორების კვლევა, რომელიც შემოქმედებითი მიღწევების რეალიზაციაში ეხმარება ადამიანს საკმაოდ მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ პიროვნებისა და შემოქმედებითობის შესახებ ჩატარებული კვლევები დასაწყისიდანვე მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს, კვლევაც ნათელი არაა ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნები, კერძოდ, ემოციური კრეატიულობა და ემოციური ინტელექტი ეხმარება თუ არა შემოქმედებითი პოტენციალის მქონე პიროვნებას ამ პოტენციალის მიღწევებად რეალიზებაში. კვლევის 342 მონაწილემ (Mage=21.87, SD=5.84) შეავსო ალტერნატიული გამოყენების ამოცანები და წინადადებები; შემოქმედებითი აქტივობებისა და მიღწევების სკალა; ემოციური ინტელექტის, როგორც პიროვნული ნიშნის საკვლევი კითხვარი და ემოციური კრეატიულობის საკვლევი კითხვარი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალურობა (ემოციური ინტელექტის ფაქტორი) და სიახლე (ემოციური კრეატიულობის ასპექტი) ასრულებს მოდერატორის როლს კრეატიულ პოტენციალსა და მიღწევებს შორის კავშირისთვის, მაშინ როცა შემოქმედებითი აქტივობები მედიატორ ცვლადად გვევლინება პოტენციალსა და მიღწევებს შორის. კვლევა გვაწოდებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ემოციებთან დაკავშირებული პიროვნული ნიშნები როგორ შეიძლება უწყობდეს ხელს შემოქმედებითი პოტენციალის შემოქმედებით მიღწევებად რეალიზებაში.

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	--	---------------------------------	--------------------------------	---------------------

			ნომერი/ტომი		
8	ლ. ხეჩუაშვილი	From Rumination to Generativity: The Mediation Effect of Posttraumatic Growth https://doi.org/10.1080/15325024.1560903	Journal of Loss and Trauma: International Perspectives of Stress and Coping, 24(2)	Taylor & Francis Online	18 (გვ. 177-195)

სტატიაში წარმოდგენილი ორი კვლევა მოზრდილებში რუმინაციასა და გენერაციულობას შორის კავშირში პოსტტრავმული ზრდის მედიაციური ეფექტის შესწავლას ისახავდა მიზნად. კვლევის მეორე მიზანს რუმინაციის საზომი სკალის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლების შემოწმება წარმოადგენდა. ორ კვლევაში 364-მა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა. შედეგები აჩვენებს, რომ რუმინაციის სკალის ქართულ ვერსიას შინაგანი შეთანხმებულობის კარგი მახასიათებლები აქვს და იმეორებს ორიგინალური ინსტრუმენტის ორფაქტორიან სტრუქტურას. რუმინაციასა და გენერაციულობას შორის კავშირი გაშუალებულია პოსტტრავმული ზრდით.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Odilavadze, M. Panjikidze, M Martskvishvili, Kh. Mestvirishvili, M. Kvitsiani, M.	The Role of Personality and Love Style in Marital Satisfaction: Does Similarity Matter?“	მიღებულია დასაბეჭდად: Current issues in Personality Psychology ISSN: 2353-4192		

ქორწინებით კმაყოფილების კვლევის საკითხმა მეცნიერთა ფართო ყურადღება დაიმსახურა ბოლო ათწლეულობის განმავლობაში. მას შემდეგ ასობით კვლევა მიემდგნა ქორწინებით კმაყოფილების დეტერმინანტების კვლევას. მიმდინარე კვლევის მიზანია განავრცოს აქამდე არსებული კვლევების შედეგები ქორწინებით კმაყოფილების ორი მნიშვნელოვანი კორელატის კვლევით: პიროვნული ნიშნები და სიყვარულის სტილი. პიროვნული ნიშნების მსგავსების მნიშვნელოვნებასა და დიადაში სიყვარულის მიმართ დამოკიდებულებზე ხაზგასმით კვლევაში ნაცადია ქორწინების შედეგების გავლენიანი კომპონენტების იდენტიფიცირება. კვლევაში მონაწილეობდა ოთხმოცდაშვიდი (N = 174) ჰეტეროსექსუალი დაქორწინებული წყვილი (ხელმისაწვდომი შერჩევა). ქმრის თავმდაბლობა/გულწრფელობის მაჩვენებელი პოზიტიურადაა დაკავშირებული როგორც საკუთარ, ასევე, მეუღლეების ქორწინებით კმაყოფილებასთან. მეუღლეებს სიყვარულის მიმართ მსგავსი დამოკიდებულებები ახასიათებთ. განსვლას ამ დამოკიდებულებების მიხედვით მიყვარათ განსხვავებულ შედეგთან იმის მიხედვით, თუ რომელს გავითვალისწინებთ - ცოლის თუ ქმრის

ქორწინებით კმაყოფილებას. პიროვნული ნიშნები და სიყვარულის სტილი წარმოადგენს ქორწინებით კმაყოფილების პრედიქტორებს. ქორწინებით კმაყოფილების კორელატები გარკვეულწილად განსხვავებულია ცოლებისა და ქმრების შემთხვევაში.

2.	Kvitsiani, M. Mestvirishvili, M. Martskvishvili, Kh Kamushadze, T.	From Rumination to Psychological well-being: mediation effect of Personality traits.	მიღებულია დასაბეჭდად: <i>Problems of Psychology of 21st Century</i> ISSN 2029-8587		
----	---	--	--	--	--

ვლევის მიზანს წარმოადგენს პიროვნული ფაქტორების, კარგად ყოფნის და რუმინაციის კავშირების აღმოჩენა და იმ სტრუქტურების განსაზღვრა, რაც სავარაუდოდ ამ კავშირების ბუნებაზე მოქმედებს. მთავარ კითხვას წარმოადგენს აქვს თუ არა პიროვნულ ნიშნებს პირდაპირი ეფექტი კარგად ყოფნაზე, თუ ეს კავშირი რუმინაციით არის გაშუალებული. კვლევაში მონაწილეობას იღებდა 145 ადამიანი. კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა პიროვნულ ნიშნებსა და სუბიექტურ კარგად ყოფნას შორის კავშირი, გარდა ამისა ანახა, რომ არსებობს ამ კავშირის მიღმა არსებული ფაქტორები, რომლებსაც მისი გარდაქმნა შეუძლია. რუმინაციისადმი პრედისპოზიციები განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად აისახება პიროვნული ნიშნები სუბიექტურ კარგად ყოფნაზე.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ხ. მარწყვიშვილი, ნ. აბულაძე, მ. გასვიანი	აქტივობაში ჩართულობის (flow) საკვლევი სკალის ფსიქომეტრული მახასიათებლები	ფსიქოლოგიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ფსიქოლოგია საქართველოში ასი წლისაა, თსუ, 2019/12/04
2	ხ. მარწყვიშვილი, მ. ფანჯიკიძე, თ. ქამუშაძე:	როგორ მივყავართ ემოციებთან დაკავშირებულ პიროვნულ ნიშნებს პოსტტრავმულ	ფსიქოლოგიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ფსიქოლოგია საქართველოში ასი წლისაა, თსუ

		ცვილებამდე	
3	ნ. სორდია, ხ. მარწყვიშვილი:	კრეატიული აქტივობებიდან კრეატიულ მიღწევებამდე: ნეგატიური პიროვნული მახასიათებლების როლი	ფსიქოლოგიის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ფსიქოლოგია საქართველოში ასი წლისაა, თსუ

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	M. Chitashvili	In search of evil: Affective dimensions of presidential elections 2018 in Georgia.	Zagreb. Croatia, May 4-6, 2019, International Psychological Applications Conference and Trends, InPACT 2019.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
2	Maia Mestvirishvili	Georgian migrant women: telling stories with photos”	International Academic Forum, Asian Conference of Cultural Studies; Tokyo, Japan
3	Maia Mestvirishvili (Symposium Chair) and Mariam Kvitsiani	The Relationship of Self-worth and Rumination with Posttraumatic Growth.	Paris, France, 7-9 March 2019
4	Ketevan Mosashvili	Predicting Prejudice: The Role of Religiousness, Religious Development and Values in a Sample of Georgian Adolescents	Gdansk, Poland August 31 – September 3, 2019, International Association of Psychology of Religion Conference, IAPR 2019.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
5	L. Arutinova, T. Lodia.	The Relationship between Aggression, Social Behavior in School and Personality Factors in Children and Adolescents.	Swiss Public Health Conference. Child and Adolescent Public Health. Switzerland. Winterthur. 28-29 August. 2019

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
6	სიმპოზიუმის ხელმძღვანელი	„რა გვეხმარება ტკივილის პიროვნულ ზრდად ტრანსფორმირებაში: პიროვნება და პოსტტრავმული ზრდა“ (სიმპოზიუმი).	2019, მარტი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა, პარიზი, საფრანგეთი
7	ბ. მარწყვიშვილი, თ. ქამუშაძე,	„როცა ემოციები ეხმარებათ ბავშვებს ადაპტაციაში: ემოციური ინტელექტის როლი პოსტტრავმულ ზრდაში“ (ზეპირი მოხსენება)	2019, მარტი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა, პარიზი, საფრანგეთი
8	თ. ქამუშაძე, ბ. მარწყვიშვილი, ზ. მარშანია	ტკვილი სარგებლის გარეშე: ვაგინიზმის ფსიქოლოგიური დეტერმინანტები“ (სასტენდო მოხსენება)	2019, მარტი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა, პარიზი, საფრანგეთი
9	მ. ოდილავაძე, ბ. მარწყვიშვილი	ბნელი ტრიადა და ბაზისური ადამიანური ღირებულებები: მსგავსი მეუღლის ყოლის სარგებელი და საფასური“ (სასტენდო მოხსენება).	2019, მარტი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა, პარიზი, საფრანგეთი

10	ნ. სორდია, ხ. მარწყვიშვილი:	ვის შეუძლია საკუთარი თავის დაწინაურება: პიროვნული ნიშნების გავლენა კრეატიულ აქტივობებსა და მიღწევებს შორის კავშირზე. (სასტენდო მოხსენება)	2019, მარტი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ასოციაციის საერთაშორისო ყრილობა, პარიზი, საფრანგეთი
----	-----------------------------	--	---

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
11	ლ. ხეჩუაშვილი	მასტერ და ალტერნატიული მასტერ ნარატივები: ქართული კულტურის კვლევა	პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის ასოციაციის ყოველწლიური კონფერენცია, პორტლანდი, ორეგონის შტატი, აშშ. 7-9 თებერვალი, 2019
12	ლ. ხეჩუაშვილი თ. ჯანანაშვილი მ. გოგიჩაიშვილი	ცხოვრება გრძელდება: ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განცდის შენარჩუნება და სოციალური ადაპტაცია ფიზიკური ტრავმის შემდეგ ეტლით მოსარგებლეებში	პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის ასოციაციის ყოველწლიური კონფერენცია, პორტლანდი, ორეგონის შტატი, აშშ. 7-9 თებერვალი, 2019

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

- მაია რობაქიძე (ხელმძღვანელი)
- ია კუტალაძე
- სოფიო დოლიძე
- გიორგი გოროშიძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	<p>„ფუნქციური უნარშეზღუდულობის ხარისხის დასადგენი ინსტრუმენტის სტანდარტიზაცია 2019-2020 მიმდინარე პროექტი; დაფინანსებულია USAID-ის მიერ. პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე ანოტაცია:</p> <p>საქართველოში ფუნქციური უნარშეზღუდულობის შეფასების სამედიცინო მოდელიდან (ეყრდნობა სამედიცინო დიაგნოზს) სოციალურ მოდელზე გადასვლა, მოითხოვს სანდო და ვალიდურ ინსტრუმენტებს ფუნქციური შეზღუდვების ხარისხისა და დამხმარე სერვისების მასშტაბის დასადგენად. სოციალური მოდელის მთავარი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებლობისა და ინკლუზიის ხელშეწყობა და გაძლიერება.</p> <p>სოციალური მოდელის ეფექტური განხორციელების ხელშესაწყობად, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია სფეროს ექსპერტების მიერ შექმნილი ინსტრუმენტის სტანდარტიზაცია. ინსტრუმენტის სტანდარტიზაციის პროცესი დაეფუძნება ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA), ამერიკის განათლების კვლევის ასოციაციის (AERA), განათლების სფეროში გაზომვის საკითხებზე მომუშავე ეროვნული საბჭოსა (NCME) და საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიური ტესტების შექმნისა და ადაპტაციის სტანდარტებს. სტანდარტიზაციის პროცესში ვეყრდნობით დავალებაზე პასუხის თეორიას (IRT- Item response theory), ასევე, ვიყენებთ ტესტის კლასიკურ თეორიას (CTT – classical test theory) პროექტით გათვალისწინებული სამუშაო მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:</p>		
I.	ინსტრუმენტის პირველადი გამოცდა/შეფასება (try out);		
II.	მონაცემთა შეგროვება და ძირითადი ფსიქომეტრული პარამეტრების დადგენა		

III. სტნდარტების დადგენის პროცედურა

IV. ინსტრუმენტის სახელმძღვანელოს სახელმძღვანელოს მომზადება.

2. „ Developing competences of framework for recruitment test of the MIA academy for the future police officers” (პოლიციელის კომპეტენციების ჩარჩოს მომზადება) დაფინანსებულია NATO- Georgia-ს მიერ. პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე

ანოტაცია:

პროექტის მიზანი: აპლიკანტთა შეფასების მრავალფაქტორიანი ინსტრუმენტის შექმნა. შეფასების ახალმა მეთოდმა ხელი უნდა შეუწყოს პოლიციაში კვალიფიციური კადრების შერჩევას და, შესაბამისად, შერჩევის პროცედურის ვალიდობის ზრდას. ამ მიზნის მისაღწევად პროექტის ამ ეტაპზე უნდა გადაჭრას რამდენიმე საკვანძო მნიშვნელობის ამოცანა I. პოლიციელის სამუშაოს აღწერა, ანალიზი და საკვალიფიკაციო მოთხოვნების იდენტიფიცირება: ეს პროცესი საშუალებას იძლევა სისტემურად შევისწავლოთ პოლიციელის სამუშაო, ის ცოდნა, უნარები და სხვა მახასიათებლები, რომლებსაც სამუშაოს წარმატებით შესასრულებლად უნდა ფლობდეს პოლიციელი. ეს ინფორმაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია შერჩევის მეთოდისა და, მთლიანად, შერჩევის პროცედურის ვალიდობის უზრუნველსაყოფად. შერჩევისთვის შეფასების ინსტრუმენტის შექმნა (მითუმეტეს მრავალფაქტორიანი ინსტრუმენტის) სრულად უნდა ეფუძნებოდეს სამუშაოს ანალიზს, კომპეტენციების ნუსხას, რომელთა შეფასებასაც პოლიციელის საქმიანობისთვის პრედიქტული ღირებულება აქვს და შეუძლია აპლიკანტთა ეფექტიანობის წინასწარმეტყველება. სამუშაოს ანალიზის პროცესში ვეყრდნობით მრავალმხრივ ინფორმაციას, მათ შორისაა; საერთაშორისო პრაქტიკის მონაცემები, კრიტიკული ინციდენტების ანალიზი, კვლევები, რომლებიც ორიენტირებულია პოლიციელის საქმიანობაში კონკრეტული მახასიათებლების პრედიქტული ვალიდობის შესწავლაზე, ასევე ექსპერტული შეფასებები. ამ ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შემუშავდება კომპეტენციების ჩარჩო, რომელიც იქნება ერთგვარი გზამკვლევი ინსტრუმენტის შექმნის პროცესში.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2019 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი

№	დასრულებული (მრავალწლიანი)	პროექტის დაწყების და	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
---	----------------------------	----------------------	--

	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა	დამთავრების წლები	
1	2	3	4
<p>1. ფუნქციური უნარშეზღუდულობის ხარისხის დასადგენი ინსტრუმენტის შინაარსობრივი ვალიდაცია“ 2018-2019 ; დაფინანსებულია UNISEF Georgia-ს მიერ.</p> <p>პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე პროექტის კონსულტანტი: სოფიო დოლიძე</p> <p>ანოტაცია:</p> <p><i>საქართველოში ფუნქციური უნარშეზღუდულობის შეფასების სამედიცინო მოდელიდან (ეყრდნობა სამედიცინო დიაგნოზს) სოციალურ მოდელზე გადასვლა, მოითხოვს სანდო და ვალიდურ ინსტრუმენტებს ფუნქციური შეზღუდვების ხარისხისა და დამხმარე სერვისების მასშტაბის დასადგენად. სოციალური მოდელის ეფექტური განხორციელების ხელშესაწყობად, პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია სფეროს ექსპერტების მიერ შექმნილი ინსტრუმენტის შინაარსობრივი ვალიდაცია.</i></p> <p><i>შინაარსობრივი ვალიდაცია ინსტრუმენტის შექმნის პროცესში მინიმალური აუცილებლობაა. დადგენილი პროცედურების მეშვეობით ფასდება, ზომავს თუ არა შეფასების ინსტრუმენტი იმას, რის გასაზომდაც იგი იქმნება. შინაარსობრივი ვალიდობა, ჩვეულებრივი, დგინდება ექსპერტული შეფასების შედეგად. შეესაბამება თუ არა ინსტრუმენტში შეტანილი თითოეული შეკითხვა იმ მიზანს, რა მიზნითაც ინსტრუმენტი იქმნება - ეს არის კრიტიკული კითხვა, რომელზე პასუხიც სფეროს ექსპერტებისაგან ვიღებთ სპეციალური კითხვარის საშუალებით. შედეგების ანალიზისთვის გამოვიყენეთ სხვადასხვა სტატისტიკური მოდელი; Kappa index, Aiken index, CVI (The Proportion agreement procedure as a Content Validity Index)</i></p> <p>სხვა პროექტები:</p> <p>2. პერსონალის შერჩევა-შეფასებისთვის ინტელექტუალური უნარების ტესტისა და მენეჯერული უნარების ტესტის (შემთხვევის ანალიზი) შემუშავება. დამკვეთი: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), პროფესიული განათლებისა და ტრენინგიდ პროექტების მიმართულება. პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე პროექტის კონსულტანტი: სოფიო დოლიძე</p> <p>3. კარიერის დაგეგმვის ტრენინგ-მოდულის მომზადება. დამკვეთი: „ახალგაზრდული ინიციატივების რეგიონალური ასოციაცია(„აირა“). დონორი: World Vision Georgia; პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე</p>			

პროექტის კონსულტანტი: სოფიო დოლიძე

პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე

4. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული კონსულტაციის მეთოდოლოგიური გზამკვლევის შემუშავება. დამკვეთი: ასოციაცია **RDFG - Association Rural Development for Future Georgia** („სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“)

პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე

პროექტის კონსულტანტი: სოფიო დოლიძე

5. ტრენერთა ტრენინგი პროფესიულ ორიენტაციისა და კარიერულ კონსულტაციაში. დამკვეთი: ასოციაცია **RDFG - Association Rural Development for Future Georgia** („სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“) პროექტის ხელმძღვანელი: ია კუტალაძე

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)				

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გზამკვლევი კარიერის კონსულტირებაში;	<i>მომზადებულია დასაბეჭდად</i>		
2				

	<p>სამეცნიერო რედაქტორი: ია კუტალაძე თანაავტორი: სოფიო დოლიძე</p>			
<p style="text-align: center;">ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)</p> <p>გზამკვლევის თავში (N9) „ინტერესები, ღირებულებები, დომინანტური როლები“ წარმოდგენილია ინტერესების დეფინიცია, განხილულია ინტერესების სახეები, კლასიფიკაციის სისტემები და შეფასების შესაძლებლობები, წარმოჩენილია ინტერესების მნიშვნელობა კარიერის დაგეგმვისა და განვითარებისთვის.</p> <p>ამავე თავის ვრცელი ნაწილი ეთმობა ღირებულებების სხვადასხვა განსაზღვრებას, აღწერილია ღირებულებების ფორმირების პროცესი. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია შრომით ღირებულებებსა და ორგანიზაციულ ღირებულებებზე. განხილულია ღირებულებების შეფასების რამდენიმე ფორმა. წარმოდგენილია ღირებულებების საფუძველზე ფორმირებული დომინანტური ცხოვრებისეული როლების კონცეფცია. ხაზგასმულია ინდივიდის მიერ საკუთარი ღირებულებებისა და დომინანტური როლების იდენტიფიცირების მნიშვნელობა კარიერის არჩევისა და განვითარებისთვის.</p> <p>გზამკვლევის თავში (N10) „პიროვნება და უნარები“ წარმოდგენილია პიროვნების ცნების განსაზღვრება, განხილულია პიროვნების ფაქტორულ-ანალიზური (მრავალგანზომილებიანი) სისტემები, პიროვნების შესწავლისა და შეფასების მეთოდები, მათი შეზღუდვები თუ დადებითი ასპექტები. ხაზგასმულია კარიერის კონსულტირების პროცესში ინდივიდის თვითშემეცნების, როგორც რაციონალური კარიერული არჩევანის წინაპირობის, სტიმულირების მნიშვნელობა.</p> <p>ამავე თავში მოცემულია ზოგადი და სპეციფიკური უნარების, ასევე, ნიჭისა და ჩვევის განსაზღვრებები და მათი ფორმირება-განვითარების პრინციპები. წარმოდგენილია ინტელექტის სხვადასხვა დეფინიცია და თეორიული მოდელები ამ კონსტრუქტის შესახებ. ვრცელი ნაწილი ეთმობა ინტელექტისა და კოგნიტური უნარების შეფასების ინსტრუმენტების განხილვას, მათი კონსტრუირების პრინციპებსა და სტრუქტურას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია კოგნიტური უნარების პრედიქტულ ღირებულებაზე კარიერული წარმატებისთვის, და, შესაბამისად, კონსულტირების პროცესში მათი შეფასების მნიშვნელობაზე.</p>				

4.4. სტატიები დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1					
2					
3					
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)					

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	გიორგი გოროშიძე	ორგანიზაციული ქცევის გაუმჯობესების პერსპექტივები უმაღლესი განათლების სისტემაში ISSN 1055-0143	განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2019 No.2(51)	თბილისი, საქართველო	გვ. 55-73
2	გიორგი გოროშიძე	ადამიანური რესურსების შეფასების და მართვის მოდელები განათლების სისტემაში (ორგანიზაციული ქცევა განათლებაში) ISSN 1055-0143	განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2019 No.3(53)	თბილისი, საქართველო	გვ. 76-90

3	გიორგი გოროშიძე	შრომითი კმაყოფილების გამომწვევი ფაქტორები ქართულ ორგანიზაციულ კულტურაში. ISSN 1055-0143	განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2019 No.4(54)	თბილისი, საქართველო	გვ. 78-88
4	გიორგი გოროშიძე	უმაღლესი განათლების სისტემაში ორგანიზაციული ქცევის „პროგრესული მოდელის“ გამოყენების საჭიროება (აკადემიური კადრების საკონკურსო-საატესტაციო შეფასება) ISSN 1055-0143	განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2019 No.4(54)	თბილისი, საქართველო	გვ. 50-63
5	გიორგი გოროშიძე, თამარ ზანგალაძე	სუბიექტური კეთილდღეობის და შრომითი კმაყოფილების ურთიერთდამოკიდებულების თავისებურება ISSN 2667-9027	ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი, 2020 No.2 წარდგენილია	თბილისი, საქართველო	10 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

